ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 107

ქ.ბათუმი

22 ნოემბერი 2017 წელი

ერთი მხრივ სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.ბათუმის N1 საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნატალია მგელაძის სახით და მეორე მხრივ შპს „პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE" (შემდგომში მიმწოდებელი) ს/კ 445427119 ანგარიშის ნომერი GE13PC0193600100011836 წარმოდგენილი დირექტორის სალომე კიკვაძის სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს!" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მომწოდებელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველს აწვდის წინამდებარე ხელშეკრულების დანართით (ფასების ცხრილით) გათვალისიწნებულ საქონელს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 37,50 (ოცდა ჩვიდმეტი ლარი 50 თეთრი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიწოდების ადგილი, საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.
3.2 საქონლის მიღება განხორციელდება, ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულებისა და რაოდენობის მითითებით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.
3.3. საქონლის მიწოდების ადგილია შემსყიდველის იურიდიული მისამართი.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
4.2. ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან/და სასაქონლო ზედნადების გამოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
5.2. წუნდებული საქონლის შეცვლას მოთხოვნიდან 7 დღის ვადაში თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს მომწოდებელი.
5.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნატალია მგელაძე.

6. სხვა პირობები

შემსყიდველი

მიმწოდებელი

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
6.2. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.
6.3. მოწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მომწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.
6.4. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე.
6.5. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ასევე დასტურდება, რომ შემსყიდველის წარმომადგენელს (სკოლის დირექტორი) არ გააჩნია, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი მომწოდებელთან.

7. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:
სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის
ბათუმის #1 საჯარო სკოლა
6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი
დ. თავდადებულის ქუჩა # 47
ს/კ 245429040
ს.ს. „თიბისი ბანკი"
მფო TBCBGE22
ა/ა GE51TB1050434080100001

ნატალია მგელაძე

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

მიმწოდებელი:

შპს „პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE"
6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი
(მის. ქ.ბათუმი თავდადებულის 4/29)
ს/კ 445427119
ს.ს. „პროკრედიტ ბანკი"
მფო MIBGGE22
ა/ა GE13PC0193600100011836

სალომე კიკვაძე

დირექტორი

შემსყიდველი

მიმწოდებელი

დანართი #1

დანართი 2017 წლის 22 ნოემბრის ხელშეკრულება # 107

საქონლის დასახელება	ზომის ერთ.	რ-ბა	ერთ. ფასი	საქონლის ფასი	შესყიდვის CPV კოდი
სერთიფიკატის ბეჭდვა	ცალი	25	1.50	37.50	79810000 - ბეჭდვითი მომსახურებები
სულ:				37.50	

შემსყიდველი

მიმწოდებელი